სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080143555262617

 # 254 **20 / იანვარი / 2017 წ.**

შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 16 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP170000168 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, 2017 წლის 12 იანვარს განახორციელა ლაბორატორიული რეაქტივების (Troponin I - სწრაფი ტესტი) შესყიდვა.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ ბალანსზე არსებული აპარატისათვის (Roche CARDIAC READER) საჭირო იყო ლაბორატორიული რეაქტივის შესყიდვა. აღიშნულისათვის ჩატარდა ბაზრის კვლევა, მაგრამ ტენდერის გამოცხადებამდე ცნობილი გახდა, რომ მწარმოებელი კომპანია აღარ უშვებს არც მსგავს აპარატს და არც მის შესაბამის ლაბორატორიულ რეაქტივებს, ხოლო ვინაიდან, Roche CARDIAC READER წარმოადგენს დახურული სისტემის ანალიზატორს, გამორიცხულია მასზე სხვა მწარმოებლის რეაქტივით ტროპონინის ანალიზის განხორციელების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, საავადმყოფო გეგმავს ახალი აპარატის შეძენას, მაგრამ ვინაიდან, აღნიშნული მოითხოვს გარკვეულ დროს, იმისათვის, რომ არ შეფერხებულიყო პაციენტთა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების პროცესი, საჭირო გახდა Troponin I (სწრაფი ტესტი) ლაბორატორიული რეაქტივების შეძენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ გამართული ფუნქციონირების შეფერხება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ ბალანსზე არსებული აპარატისათვის (Roche CARDIAC READER) საჭირო იყო ლაბორატორიული რეაქტივის შესყიდვა. აღიშნულისათვის ჩატარდა ბაზრის კვლევა, მაგრამ ტენდერის გამოცხადებამდე ცნობილი გახდა, რომ მწარმოებელი კომპანია აღარ უშვებს არც მსგავს აპარატს და არც მის შესაბამის ლაბორატორიულ რეაქტივებს, ხოლო, ვინაიდან, Roche CARDIAC READER წარმოადგენს დახურული სისტემის ანალიზატორს, გამორიცხულია მასზე სხვა მწარმოებლის რეაქტივით ტროპონინის ანალიზის განხორციელების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, საავადმყოფო გეგმავს ახალი აპარატის შეძენას, მაგრამ ვინაიდან, აღნიშნული მოითხოვს გარკვეულ დროს, იმისათვის, რომ არ შეფერხებულიყო პაციენტთა მკურნალობის პროცესი, საჭირო გახდა Troponin I (სწრაფი ტესტი) ლაბორატორიული რეაქტივების შეძენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ გამართული ფუნქციონირების შეფერხება. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შესყიდვა განხორციელდა კანონისა და ზემოხსენებული ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე